ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 201

“ 22 ” ივლისი 2016 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №23-27-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.14.008.040) ეკატერინე კამკამიძისთვის (პ/ნ: 01024034326) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №23-27-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.008.040) ეკატერინე კამკამიძისთვის (პ/ნ: 01024034326) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 13 ივლისის №27.08.593 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №23-27-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.008.040) პირდაპირი განკარგვის წესით ეკატერინე კამკამიძისათვის (პ/ნ: 01024034326) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი